DOI: https://doi.org/10.59172/2667-9876/2023-1/6-18

როგორ მართავენ საკონსტიტუციო სასამართლოები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებს

ვოლფგანგ ბაბეკი

ბონდის უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

კირა ჰემკენდრაისი

გერმანიაში მოღვაწე იურისტი,
კიოლნის უმაღლესი რეგიონული სასამართლო

რეფერატი. მეცნიერების მხრიდან გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით უწყვეტი გაფრთხილების მიუხედავად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები მთელი მსოფლიოს მასშტაბით მაინც ვერ ახორციელებენ გლობალური დათბობის საწინააღმდეგო საკმარის ღონისძიებებს, რის შედეგადაც მომრავლდა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით აღძრული სასამართლო დავები. 2017 წლიდან 2020 წლამდე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სასამართლო საქმეები თითქმის გაორმაგდა მსოფლიოს მასშტაბით. სასამართლოები, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცესის დროს, ხშირად ახდენენ გარემოსდაცვითი მექანიზმების უფრო დეტალურად წარმოჩენას. გარემოსდაცვითი მექანიზმები კონსტიტუციებში გათვალისწინებულია, როგორც ინდივიდების სუბიექტური უფლება, ან როგორც სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები (სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები). წინა განმარტებისგან განსხვავებით, ზოგიერთი სასამართლო ახლა უფრო ფართოდ განმარტავს სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს, ვიდრე ადრე. კერძოდ, სასამართლოები, კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა სამოქალაქო თავისუფლებებთან ერთად, ადგენენ მატერიალურ უფლებებს გარემოსდაცვით სფეროში, სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით. გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ამგვარი განმარტება (თუ არ გავითვალისწინებთ კლიმატის ცვლილების სფეროში ქვეყნის ვალდებულებებზე უშუალო ზემოქმედებას) საინტერესოა შე-

დარებითი სამართლის ჭრილში, რამეთუ კონსტიტუციებში ასახულია მრავალი სხვა სოციალური უფლება სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების სახით. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები შეიძლება გაიყოს სამ კატეგორიად: (1) სახელმწიფოს მოეთხოვება გარკვეული ზომების მიღება გარემოს დასაცავად, (2) სახელმწიფოს ეკრძალება გარემოსთვის საზიანო ქმედებების წამოწყება ან გაგრძელება, და (3) გარემოს დაცვის სტანდარტი განმტკიცებულია კონსტიტუციის ინტერპრეტაციის საფუძველზე. საერთაშორისო შეთანხმებებმა, როგორიცაა პარიზის შეთანხმება, ასევე მნიშვნელოვნად იმოქმედა ეროვნული სასამართლოს პრაქტიკაზე. ეს ცხადყოფს, რომ ეროვნულ სასამართლოებს შეუძლიათ დააწესონ კლიმატის დაცვის საერთაშორისო შეთანხმებების პირობებთან შესაბამისობის მოთხოვნების და გარემოს დაცვის სფეროში საკონსტიტუციო სარჩელების, როგორიცაა თაობათა შორის თანასწორობის უზრუნველყოფის მოთხოვნა, აღსრულების ვალდებულება. გარემოს დაცვის ზოგადი პრინციპები, მათ შორის, პრინციპი „დამბინძურებელი იხდის“, ხდება რეალიზებად გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული დებატების ნაწილი. ზოგადად, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები და ამ პროცესების დროს გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები ზოგიერთ ქვეყანაში იქცა იარაღად, რომელიც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს აიძულებს იმოქმედონ ისე, რომ გაითვალისწინონ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები, განახორციელონ და მიაღწიონ კლიმატის დაცვასთან დაკავშირებულ იმ მიზნებს, რომელთა დაცვის ვალდებულება მათ ქვეყნებს აქვთ აღებული.

საკვანძო სიტყვები: კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები, ადამიანის უფლებები, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემის სამართლიანი მოგვარება, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო სამართალი

1. კატასტროფა გვიახლოვდება – სასამართლოები არის ჩვენი ხსნა

ყველა უპრეცედენტო საფრთხის წინაშე ვართ: ბოლოს, როდესაც დედამიწის ატმოსფეროში[1] CO_2-ის მსგავსი რაოდენობა დაფიქსირდა, რაც მინიმუმ 3 მილიონი წლის წინ იყო, ზღვის დონე დაახლოებით 6 მეტრით აღემატებოდა ზღვის ამჟამინდელ დონეს. ბათუმი, სოხუმი, სოჭი და სხვა ზღვისპირა ქალაქები წყალში ჩაიძირებოდნენ, იმ დროს რომ ეარსებათ.

საიმედო ენერგოუსაფრთხოების ნაკლებობის პირობებში უფრო ცხადი ხდება, რომ ორ ჩვეულებრივ სახელმწიფო ძალაუფლებას, საკანონმდებლო და აღმასრუ-

1. ამჟამად, CO_2-ის დონე ატმოსფეროში შეადგენს დაახლოებით 420 პრომილს.

ლებელ ხელისუფლებას, არ შეუძლია ცვლილებების სწრაფად განხორციელება იმისათვის, რომ კაცობრიობა დაიცვას კიდევ ერთი მასობრივი გადაშენებისგან. საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორუმებზე, როგორიცაა COP26 ან COP27, წიაღისეული საწვავის ლობისტების რაოდენობა აჭარბებს მეცნიერებაზე ორიენტირებული პოლიტიკოსების რაოდენობას. როგორც ჩანს, აღმასრულებლები ვერ იღებენ გაბედულ გადაწყვეტილებებს. თუმცა COVID-19 კრიზისმა აჩვენა, თუ როგორ ახერხებენ დემოკრატიული მთავრობები, მიაღწიონ სწრაფ სოციალურ ცვლილებებს, თუ ამის სურვილი ნამდვილად არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ შედარებით მსხვილი ბიზნესი, ხოლო ზოგიერთი მათგანი უფრო ჭეშმარიტი განზრახვით, მხოლოდ ახლა აყალიბებს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) კომიტეტებს, ორგანიზებას უწევს ESG ანგარიშგებებს და ავითარებს ESG სტრატეგიებს, საბანკო სექტორი, თავისი ESG ვალდებულებებით, ალბათ, „გრინვოშინგის“ (პროცესი, რომლის დროსაც კომპანია საჯაროდ, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით, საკუთარ საქმიანობას წარმოაჩენს ეკოლოგიურად სუფთად, სინამდვილეში კი ახორციელებს ეკოლოგიურად და სოციალურად საზიანო პრაქტიკას) საუკეთესო მაგალითია. ისინი განაგრძობენ ექსპლუატაციაში ახლად გაშვებული, ნახშირბადის გამომყოფი პროექტების სტაბილურად დაფინანსებას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არაერთხელ იქნა უარყოფილი გაეროს გენერალური მდივნის მიერ. ყალბი ციფრებითა და დაპირებებით ყველა შეიძლება მოტყუვდეს, მაგრამ პლანეტა არ მოტყუვდება.

თუ უგულებელვყოფთ ახალგაზრდა და ყველაზე დაზარალებული თაობის გაბედულ მცდელობებს ისეთი მოძრაობების დროს, როგორიცაა „პარასკევები მომავლისთვის“[2], რომლის ორგანიზატორი 2018 წელს იყო 15 წლის გრეტა ტუნბერგი, ეროვნული სასამართლოები კაცობრიობის თვითმკვლელობის აღკვეთის ბოლო იმედი იქნება. არ არის გასაკვირი, რომ გლობალური დათბობისა და ბიომრავალფეროვნების განადგურების[3] შესახებ მეცნიერთა გაფრთხილებების ფონზე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სასამართლო დავების რიცხვი ექსპონენციალურად იზრდება.

2. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემის სამართლიანი მოგვარება

ბოლო წლებში, საკონსტიტუციო სასამართლოში, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ სასამართლო დავებში მოგებული საქმეების გაზრდილი რაოდენობა დაფიქსირდა[4]. კლიმატის კრიზისთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლე-

2. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: https://fridaysforfuture.org/what-we-do/who-we-are/.
3. იხილეთ, კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCC) ტექნიკური რეზიუმე, ვებგვერდი: https://www.ipcc.ch/report/ar6/wg1/downloads/report/IPCC_AR6_WGI_TS.pdf.
4. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ, ასევე მე-10 თავი, Babeck/Weber, Writing Constitutions, Vol II, (Fundamental Rights), Springer.

ბის შედეგად სულ უფრო მეტი ადამიანი და ორგანიზაცია ცდილობს მიაღწიოს გარემოს დაცვის მიზნებს სამართლებრივი ქმედებებით. გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) უახლეს ანგარიშში მითითებულია, რომ 2017 წლიდან 2020 წლამდე, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა; 2020 წელს UNEP-მ დააფიქსირა მინიმუმ 1550 საქმე 38 ქვეყანაში, მაშინ როცა 2017[5] წელს 24 ქვეყანაში მხოლოდ 884 საქმე იყო.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები ზოგადად შეიძლება გაიყოს სამ კატეგორიად, თუმცა ამ კატეგორიებმა შეიძლება ერთმანეთი გადაფაროს. პირველი კატეგორია (1) მოიცავს საქმეებს, რომლებშიც სახელმწიფოს მოეთხოვება კონკრეტული ზომების მიღება გარემოს დასაცავად, მეორე კატეგორია (2) მოიცავს საქმეებს, როდესაც სახელმწიფოს ეკრძალება გარემოსთვის საზიანო ქმედებების დაწყება ან გაგრძელება, ხოლო მესამე კატეგორია (3) მოიცავს საქმეებს, როდესაც შედეგი განამტკიცებს გარემოს დაცვის სტანდარტს კონსტიტუციის განმარტების საფუძველზე. ამ საქმეებში უფლებების მფლობელები არიან მოქალაქეები, არამოქალაქეები, ეკოსისტემები, ცხოველები და ა.შ.

საქმეზე „Urgenda Foundation v. State of the Netherlands“[6] მიღებულ იქნა ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი განჩინება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესის დროს და იგი შეიძლება მიეკუთვნოს პირველ (1) კატეგორიას. ამ საქმეში, კომპანიამ Urgenda Foundation (ჰოლანდიური გარემოსდაცვითი ჯგუფი) და ჰოლანდიის ასობით მოქალაქემ ჰოლანდიის მთავრობისგან მოითხოვა პოზიტიური ქმედითი ღონისძიებების მიღება კლიმატის გლობალური ცვლილების თავიდან ასაცილებლად, სათბურის აირების ემისიების შემცირების გზით. ამ საქმეში, ნიდერლანდების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მთავრობა ვალდებულია განახორციელოს ასეთი ღონისძიებები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემის მოსაგვარებლად. გარდა ამისა, საქმეში „Friends of the Earth v. BEIS“[7], გაერთიანებული სამეფოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანებული სამეფოს წმინდა ნულოვანი ემისიის სტრატეგიის ჩამოყალიბებისას, მთავრობამ არ გაითვალისწინა ემისიის შესახებ მატერიალური მოსაზრებები.

მეორე კატეგორიის (2) მაგალითია საქმე „მომავალი თაობები გარემოს დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ და სხვები“ *(Future Generations v. Ministry of the Environment and Others)*[8]. ამ საქმეში კოლუმბიის უზენაესმა სასამართლომ სახელმწიფო დაავ-

5. UNEP, GCLR 2020, p. 2, ვებგვერდი https://wedocs.unep.org/bitstream/handle/20.500.11822/34818/GCLR.pdf?sequence=1&isAllowed=y.
6. საქმე „Urgenda Foundation v. State of the Netherlands“, ECLI:NL:HR:2019:2006.
7. Friends of the Earth, ClientEarth, საქმე „Good Law Project v Secretary of State for Business, Energy and Industrial Strategy“, [2022] EWHC 1841 (Admin). საქმე №CO/126/2022.
8. Corte Suprema de Justicia [C.S.J.] [უზენაესი სასამართლო], 2018 წლის 5 აპრილი, M.P: L. Villabona, Expediente: 11001-22-03-000-2018-00319-01 (Colomb.).

ალდებულა, თავი შეეკავებინა ტყეების გაჩეხისგან შესაბამისი გეგმის შემუშავებისა და ამოქმედების გზით. ამიტომ, ეს სასამართლო გადაწყვეტილება მიეკუთვნება როგორც მეორე (2), ასევე მესამე კატეგორიას (3), ვინაიდან კოლუმბიის უზენაესმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ კოლუმბიის კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებები დაკავშირებულია გარემოსა და ეკოსისტემასთან და განაცხადა ისიც, რომ „ამაზონი“ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ პირად, რომელსაც საკუთარი უფლებები გააჩნია.

ინდოეთის საქმე არის კიდევ ერთი მაგალითი მესამე კატეგორიას (3) მიკუთვნებული საქმეებისა, რომელშიც მადრასის უმაღლესმა სასამართლომ კიდევ უფრო ფართო ინტერპრეტაცია მისცა ბუნების დაცვის კონსტიტუციურ უფლებებს, როდესაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „დედაბუნება“, როგორც „ცოცხალი არსება“ არის იურიდიული სტატუსის მქონე პირი, ყველა შესაბამისი უფლებით, მოვალეობითა და პასუხისმგებლობით, რომელიც ცოცხალ ადამიანს გააჩნია ბუნების შენარჩუნებისა და დაცვის მიმართ. მოსამართლეებმა ასევე მიანიჭეს ძირითადი უფლებების შესატყვისი უფლებები ბუნების გადარჩენის, უსაფრთხოების, ბუნების შენარჩუნებისა და აღდგენის სფეროში, მისი სტატუსის შენარჩუნების და ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით. მადრასის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფო მთავრობას და ცენტრალურ ხელისუფლებას ევალება მიიღოს შესაბამისი ზომები დედაბუნების ყველა შესაძლო გზით[9] დასაცავად.

სასამართლოს ამ გადაწყვეტილებებით ნათელია, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სასამართლო დავის წარმოება მნიშვნელოვანი ნაბიჯია კლიმატის დაცვის მიზნების მისაღწევად. სარჩელების მაგალითიდან ჩანს, რომ სასამართლო ხელისუფლების ჩარევა ხშირად საჭიროა იმისათვის, რომ „აიძულონ“ ხელისუფლების ორგანოები იმოქმედონ კლიმატის მიმართ კეთილგანწყობით.

3. საკონსტიტუციო მიმართულება: სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები გარემოს დაცვის უფლებებთან მიმართებით

გარემოს დაცვის მოთხოვნები უკვე მრავლადაა ბევრ კონსტიტუციაში, ზოგიერთში, როგორც მოსახლეობის უფლება გარემოს დაცვაზე (გარემოს დაცვის უფლებები), ხოლო ზოგიერთში, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპი. დღესდღეობით მსოფლიოში არსებული 229 კონსტიტუციის თითქმის 80% შეიცავს მითითებას გარემოს დაცვაზე[10].

9. მადრასის უზენაესი სასამართლო, საქმე „Periyakaruppan v The Principal Secretary to Government, Revenue Department, Secretariat et al.“, W.P. (MD) Nos. 18636 of 2013 and 3070 of 2020.
10. იხილეთ, https://www.constituteproject.org/topics?lang=en. მსგავსი სურათია სასამართლო გადაწყვეტილებებში, 2013, გვ. 6, სადაც მითითებულია, რომ არსებული კონსტიტუციების სამი მეოთხედი ითვალისწინებდა გარემოს დაცვას.

მაშინ, როდესაც მოსამართლეები ეძებენ სხვადასხვა გზას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად, სასამართლოებმა ეს შეიძლება გააკეთონ მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში. ამის მიზეზი ისაა, რომ საერთაშორისო შეთანხმებებში იშვიათადაა გათვალისწინებული ქვეყნის მიერ სავალდებულოდ შესასრულებელი ვალდებულებები, რომლებიც მოსარჩელეებმა შეიძლება გამოიყენონ თავიანთი სარჩელების საფუძვლად. ქვეყანაში კლიმატის ცვლილების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის არარსებობის ან არსებული კანონმდებლობის არაადეკვატურობის ფონზე, სარჩელების საფუძველი, როგორც წესი, აღმოჩნდება ხოლმე თავად ამ ქვეყნის კონსტიტუციაში.

ფართო თვალთახედვით კონსტიტუციით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი დებულებები შეიძლება გაიყოს ორ კატეგორიად: ტრადიციულად, კონსტიტუციები შეიცავს მხოლოდ პოლიტიკას ან სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს გარემოს დაცვის სფეროში; თუმცა ზოგიერთ ქვეყანას კონსტიტუციაში გათვალისწინებული აქვს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სუბიექტური და აღსრულებადი უფლებები, რომლებიც ინდივიდმა შეიძლება პირდაპირ გამოიყენოს.

3.1. მატერიალური უფლებები გარემოსდაცვით სფეროში

ზოგიერთ კონსტიტუციაში, როგორიცაა იტალიის (მუხლი 9) და კუბის (მუხლი 75) კონსტიტუცია, გარემოს დაცვა გარანტირებულია მატერიალური კონსტიტუციური უფლებით. პრინციპში, მოქალაქეებს შეუძლიათ სასამართლოს წინაშე დაიცვან საკუთარი მატერიალური კონსტიტუციური უფლებები. ის, თუ როგორ განხორციელდება ეს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სარჩელების კონტექსტში იტალიასა და კუბაში, ჯერ კიდევ გასარკვევია.

3.2. სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები

მიუხედავად ამისა, კონსტიტუციების უმეტესობაში გარემოსდაცვითი სამართალი მხოლოდ სახელმწიფოს ამოცანაა და იგი არ შეიძლება იყოს ინდივიდების სუბიექტური უფლება. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას გარემო, მაგრამ ცალკეულ მოქალაქეს, როგორც წესი, არ შეუძლია შეიტანოს სარჩელი სახელმწიფოს წინააღმდეგ და მოითხოვოს მისგან კონკრეტული ღონისძიებების[11] განხორციელება.

სასამართლოებს სხვადასხვა ქვეყანაში უკვე დაუდგათ საჭიროება იმისა, რომ განმარტონ, თუ რამდენად არის შესაძლებელი ინდივიდების დაცვა ამ პოლიტიკის მიზნების მეშვეობით, იმავდროულად, იმის ილუსტრირების ფონზე, თუ

11. შედარებისთვის, Heselhaus, 2018, Rn. 16ss.; Leisner, 2015, Art. 20a Rn. 8.

რომელი იურისდიქცია შეიძლება დომინირებდეს, როდესაც გარემოს დაცვა არ არის ადეკვატურად უზრუნველყოფილი შესაბამისი სუბიექტური ნორმით.

სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები არ მოიცავენ მხოლოდ გარემოსდაცვით საკითხებს, არამედ მოიცავენ ასევე მრავალ უფლებასა და პრინციპს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების (ESCR) სფეროში. პრინციპები არის სამართლებრივი წესები, რომლებიც ახასიათებს სამართლის სისტემას და აძლევს მათ კონკრეტულ მიმართულებას, რომელიც დადგენილია სათანადო პრინციპის საფუძველზე. მათ შორისაა, მაგალითად, ქვეყნის ეკონომიკური წესრიგი, მუშაობის უფლება (ღირსეული შრომის უფლება, სამართლიანი ხელფასის უფლება, კოლექტიური გარიგებისა და მოქმედების უფლება), სოციალური წესრიგის უფლებები, როგორიცაა სოციალური დაცვის უფლება, ჯანმრთელობის უფლება ან სოციალური დახმარების უფლება ან კულტურული უფლებები, როგორიცაა განათლების უფლება, ხელოვნებისა და მეცნიერების თავისუფლება და საყოველთაო სერვისებზე წვდომის უფლება. სახელმწიფო პოლიტიკის დამატებითი სახელმძღვანელო პრინციპები მოიცავს გლობალური დონის კოლექტიურ უფლებებს, როგორიცაა განვითარების უფლება, მშვიდობის უფლება და საერთაშორისო წესრიგის უფლება, ადამიანის უფლებებზე დაყრდნობით. კონსტიტუციური განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე, უაღრესად საინტერესოა იმ მიმართულებაზე კონცენტრირება, რომლითაც სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპი გარემოს დაცვის უფლების სფეროში ამჟამად ვითარდება[12].

ამ კონტექსტში განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა, რომ აღსრულებადი უფლებები არ იყო წარმოქმნილი სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე. გარდა ამისა, წარმოდგენილი იქნება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წინამორბედი გერმანიის პრეცედენტული სამართალი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ის იზიარებს ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს შეხედულებას სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებთან დაკავშირებით, დამატებით ადგენს გარემოს დაცვის აღსრულებად უფლებას ძირითადი სუბიექტური უფლებების საფუძველზე.

3.2.1. ნორვეგია

ნორვეგია არის კონსტიტუციის მაგალითი, რომელშიც გარემოს დაცვა გათვალისწინებულია „მხოლოდ“ სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპის სახით, როგორც განმარტა ნორვეგიის უზენაესმა სასამართლომ საქმეში *People*

12. იხილეთ, *Eichenhofer* (2023), Chapter 7 in Babeck/Weber, Writing Constitutions, Vol II., Springer.

v. Arctic Oil[13]. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპი, როგორიცაა ნორვეგიის კონსტიტუციის 112-ე მუხლში აღნიშნული პრინციპი, არ მოიცავს ადამიანის იმპლიციტურ, აღსრულებად უფლებებს და უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც მთავრობის ქმედებების შეზღუდვაზე დაწესებული მატერიალური ნორმა. მუხლში 112 (1) აღნიშნულია, *„ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ჯანმრთელობისთვის ხელსაყრელი გარემო და ბუნებრივი გარემო, რომლის ნაყოფიერება და მრავალფეროვნება შენარჩუნებულია. ბუნებრივი რესურსების მართვა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ საყოველთაო და გრძელვადიან რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს ამ უფლების მომავალი თაობებისთვის შენარჩუნებას“.*

3.2.2. გერმანია

ასევე, გერმანიის კონსტიტუცია შეიცავს დებულებას გარემოს დაცვის შესახებ (კონსტიტუციის მუხლი 20(a): *„აცნობიერებს რა მომავალი თაობების წინაშე საკუთარ პასუხისმგებლობას, სახელმწიფო კანონმდებლობის მეშვეობით იცავს სიცოცხლისა და ცხოველების ბუნებრივ საფუძვლებს, ხოლო კანონისა და მართლმსაჯულების გამოყენების შემთხვევაში, ამ საფუძვლებს იცავს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მოქმედების მეშვეობით, ყველაფერი ეს კი კონსტიტუციური წესრიგის ფარგლებში ექცევა.“*[14]) შესაბამისად, გერმანიაში ინდივიდებს, ჩვეულებრივ, არ შეეძლოთ შეეტანათ სარჩელი გარემოს დაცვასთან დაკავშირებით კონსტიტუციის[15] 20a მუხლის საფუძველზე. თუმცა ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება, როდესაც ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ ოთხ საჩივარზე კლიმატის დაცვის ფედერალური კანონის (Bundes-Klimaschutzgesetz – KSG) გარკვეული დებულებების და ფედერალური მთავრობის მიერ სათბურის აირების ემისიების[16] შესამცირებლად შემდგომი ზომების მიუღებლობის წინააღმდეგ. სასამართლომ გამოაცხადა, რომ გერმანიის კლიმატის ცვლილების შესახებ ფედერალური კანონის ზოგიერთი დებულება არაკონსტიტუციური იყო, რადგან ისინი არ მოიცავდნენ დებულებებს, რომლებიც შეესაბამება ძირითადი (მატერიალური) უფლებების მოთხოვნებს. სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ძირითადად ორი კონსტიტუციური დებულების საფუძველზე

13. საქმე „Greenpeace Nordic Association v Ministry of Petroleum and Energy“ (2020), საქმე №20-051052SIV-HRET (ნორვეგიის უზენაესი სასამართლო) (საქმე „People v Arctic Oil“).
14. იხილეთ, მუხლი 20a GG ვებგვერდი: https://constituteproject.org/constitution/German_Federal_Republic_2014?lang=en.
15. დამატებითი დეტალებისთვის, Durner (2021), p.1648ss.
16. BVerfG, პირველი სენატის 2021 წლის 24 მარტის განკარგულება (1 BvR 2656/18), პუნქტები 1-270, ECLI:DE:BVerfG:2021:rs20210324.1bvr265618.

მიიღო. პირველი, მან განაცხადა, რომ სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვა, კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით, გულისხმობს გარემოს დაბინძურების შედეგად კონსტიტუციით გარანტირებული ინტერესების შელახვისგან დაცვას იმის მიუხედავად, თუ ვინ ან რა გარემოებები იყო ამის მიზეზი. სახელმწიფოს ვალდებულება კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადებით გარანტირებულ დაცვასთან დაკავშირებით ასევე მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას სიცოცხლე და ჯანმრთელობა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საშიშროებისგან. ამან, ასევე შეიძლება წარმოშვას მომავალი თაობების დაცვის ობიექტური ვალდებულება, რაც ასევე გარანტირებულია კონსტიტუციის მუხლით 20a. მეორე სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუციის მუხლით 20a გარანტირებული დაცვის ფარგლები მის ობიექტურ განზომილებაში მოიცავს სიცოცხლის ბუნებრივ საფუძვლებს და მათი ისეთ მდგომარეობაში დატოვების აუცილებლობას, რომ მომავალ თაობებს, რომელთა სურვილია სიცოცხლის ამ საფუძვლების შენარჩუნება, არ უბიძგონ იძულებითი თავშეკავებისკენ. მაშასადამე, გერმანია არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანის უფლებების შესახებ ზოგად დებულებებში – ამ შემთხვევაში სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დაცვის შესახებ დებულებებში – აისახოს ასევე სუბიექტური და აღსრულებადი უფლებები გარემოსდაცვით სფეროში. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებების შესახებ ეს ზოგადი დებულებები არ არის გათვალისწინებული გარემოს დაცვის შესახებ კონსტიტუციის ძირითად პუნქტებში.

კლიმატური კრიზისის შემდგომი განვითარების შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარემოს დაცვას სასამართლოები შემდგომში განმარტავენ, როგორც სუბიექტურ უფლებას სწორედ ისე, როგორც გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში. მისი მიზანია ინდივიდების დაცვა, თუ ეს დაცვა არ არის გარანტირებული კონსტიტუციით და თუ პოლიტიკოსები კვლავ ვერ შეასრულებენ გარემოს დაცვის საერთაშორისო ვალდებულებებს.

4. გარემოს დაცვის დებულებები საქართველოში

საქართველოში გარემოს დაცვის დებულებები გათვალისწინებულია კონსტიტუციის 29-ე მუხლში:

„გარემოს დაცვის უფლება

1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან

დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.

2. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით".

ეს მუხლი გაერთიანებულია საქართველოს კონსტიტუციის ადამიანის ძირითადი უფლებების თავში. ძირითადი უფლებები, უპირველეს ყოვლისა, შემუშავდა სახელმწიფოს აღმასრულებელი და ადმინისტრაციული შტოების დასაკავშირებლად და თითოეული მოქალაქის დასაცავად სხვაგვარად გავლენიანი სახელმწიფოსგან.[17] აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მუხლი 29(2) განიმარტება, როგორც ფიზიკური პირებისთვის მატერიალური კონსტიტუციური უფლების მინიჭება, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველომ კლიმატის ცვლილების შესახებ კანონის ინიციირება 2022[18] წლის ოქტომბერში გამოაცხადა. თუმცა კანონის ზუსტი შინაარსი და რეგულირების ფარგლები ჯერ კიდევ უცნობია.

5. საერთაშორისო შეთანხმებები და პრინციპები

აღსანიშნავია, რომ კლიმატის ცვლილების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციები და სასამართლოები ზემოხსენებულ იურისდიქციებში ხშირად მოიხსენიებენ პარიზის 2016[19] წლის შეთანხმებას. ნათელია, რომ ისეთი შეთანხმებები, როგორიცაა პარიზის შეთანხმება, ასევე ხელს უწყობენ ეროვნულ იურისდიქციებში სახელმწიფო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას, თუ ისინი არ ასრულებენ აღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრულ მიზნებს. ამავდროულად, ზოგი შიშობს, რომ ეს მიზნები შეიძლება არ იყოს საკმარისი, ხოლო კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ხელშემკვრელმა ქვეყნებმა უნდა შეასრულონ არსებული ხელშეკრულებების პირობები იმისათვის, რომ აღნიშნული მიზნები გახადონ უფრო ეფექტური[20]. მაგალითად, შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა შეძლო შეერთებული შტატების ხელშეკრულებიდან გაყვანა მხოლოდ რამდენიმე

17. შედარებისთვის, *Durner, W,* 2021, p. 1644.
18. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ კლიმატის ცვლილების შესახებ კანონის გამოცხადებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები დარეგულირდება. იხილეთ, პრესის გამოცემა WFD, ვებგვერდი: https://www.wfd.org/press-releases/georgia-launches-work-climate-change-law.
19. იხილეთ, პარიზის შეთანხმება, ვებგვერდი: https://unfccc.int/sites/default/files/english_paris_agreement.pdf.
20. *May/Daly*, (2019), p. 95.; Frenz, (2020), p. 34ss.

ჯარიმის სანაცვლოდ[21]. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა აშშ კვლავ შეუერთა ხელშეკრულებას მისი თანამდებობაზე ყოფნის[22] პირველივე დღეს, ერთ-ერთი უმსხვილესი ინდუსტრიის მქონე ქვეყნის ხელშეკრულებიდან გასვლა ადასტურებს, რომ მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებები ვერ უზრუნველყოფენ გარემოს ყოველმხრივ დაცვას[23].

კიდევ ერთი აქტუალური საკითხი, რომელიც შეეხება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესს, არის პრინციპი „დამბინძურებელი იხდის". პრინციპთან „დამბინძურებელი იხდის" ერთად, სამართლებრივ სფეროში მოღვაწე მეცნიერებმა დაადგინეს მინიმუმ ოთხი პრინციპი[24], რომლებიც გამოიყენება გარემოს დაცვის შესახებ კანონმდებლობის მიმართ, ესენია: (1) ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპი, (2) თანამშრომლობის პრინციპი, (3) ინტეგრაციულობის პრინციპი და (4) მდგრადი განვითარების პრინციპი[25].

ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპი გულისხმობს, რომ კეთილგონივრული მოქმედებით, პირველ რიგში, შესაძლებელია გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება, რითაც შენარჩუნდება ეკოლოგიური საფუძვლები გრძელვადიან პერსპექტივაში[26].

თანამშრომლობის პრინციპის მიზანია, გააერთიანოს სახელმწიფო და მისი შესაბამისი საზოგადოება გარემოსდაცვითი პრობლემების თანამშრომლობის გზით გადაჭრის ირგვლივ[27].

ინტეგრაციულობის პრინციპი მოითხოვს ჰოლისტურ მიდგომას ეკოლოგიის ყველა ისეთი სექტორის მიმართ, როგორიცაა ჰაერი, წყალი, ნიადაგი და ა.შ., გარემოს ყოველმხრივი დაცვის უზრუნველსაყოფად[28].

---

21. იხილეთ, *McGrath, M.* (2020). კლიმატის ცვლილება: აშშ ოფიციალურად გამოდის პარიზის შეთანხმებიდან. BBC-News, ვებგვერდი: https://www.bbc.com/news/science-environment-54797743; იხილეთ, ასევე Milman, O./Smith, D./Carrington, D. (2017). დონალდ ტრამპი ადასტურებს, რომ აშშ ტოვებს პარიზის შეთანხმებას. „The Guardian", ვებგვერდი: https://www.theguardian.com/environment/2017/jun/01/donald-trump-confirms-us-will-quit-paris-climate-deal.
22. *Peltier/Sengupta,* (2021). აშშ ოფიციალურად ხელახლა უერთდება პარიზის შეთანხმებას კლიმატის შესახებ. New York Times, ვებგვერდი: https://www.nytimes.com/2021/02/19/world/us-rejoins-paris-climate-accord.html.
23. *Betaah/Albrecht/Egute,* (2019), p.94.
24. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ უფრო მეტი პრინციპია ნახსენები, იხილეთ, მაგალითად, რიოს დეკლარაცია (18), რომელიც შეიცავს 27 პრინციპს, ან ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის სტატია, რომელშიც მოხსენიებულია ათი პრინციპი; იხილეთ: https://www.americanbar.org/groups/public_education/publications/insights-on-law-and-society/volume-19/insights-vol--19---issue-1/10-key-principles-in-international-environmental-law/.
25. იხილეთ, *Schmidt/Kahl,* (2006), p. 8ss.
26. *Schmidt/Kahl,* 2006, p.9. ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპი ასევე აღნიშნული იყო ე.წ. ოსლოს პრინციპებშიც. ოსლოს პრინციპებისა და აღნიშნული ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპის განხორციელების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ, *Kirby,* (2019), p. 189.
27. *Sands/Peel/Fabra/MacKenzie,* (2018), p. 213ss.; *Schmidt/Kahl,* (2006), p.12.
28. *Schmidt/Kahl,* (2006), p. 13ss.

მეოთხე, მდგრადი განვითარების პრინციპი შეიძლება ჩაითვალოს გარემოს დაცვის[29] ერთ-ერთ ძირითად პრინციპად. იგი ადგენს ბუნებრივი რესურსების გამოყენების ისეთ პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მომავალი თაობებისთვის გარემოს შენარჩუნებას.

პრინციპის „დამბინძურებელი იხდის" მიხედვით, რომელიც დიდი ხნის წინ დამკვიდრდა ის, ვინც იწვევს დაბინძურებას, ვალდებულია გაიღოს შესაბამისი ხარჯები. პრინციპი „დამბინძურებელი იხდის" უკვე აღნიშნული იყო რიოს 1992[30] წლის დეკლარაციაში და 2007[31] წლის ლისაბონის ხელშეკრულების შემდეგ იგი ჩაერთო ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) მუხლში 191(2) და მას შემდეგ უდავოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო დაფინანსებისა და ანაზღაურების შესახებ დისკუსიების პროცესში, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს – გამარტივებული პირობებით – დასავლეთის ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებსა და გლობალურ სამხრეთს შორის.

დამბინძურებლის მიერ შესაბამისი ხარჯების გაღების მაგალითს წარმოადგენს გადასახადის დაწესება წარმოების პროცესში გამოყოფილი ნახშირბადის მოცულობის მიხედვით ან ემისიების კვოტებით ვაჭრობის სისტემა, რომელიც ამჟამად მოიცავს მსოფლიოში სათბურის აირების ემისიების[32] 23,17%-ს. დამატებით ღონისძიებებში, რომლითაც დამბინძურებლები ვალდებულნი არიან გადაიხადონ, შეიძლება განხილული იყოს ფინანსური ზეწოლა, რაც გულისხმობს, რომ მხოლოდ კლიმატისადმი უფრო კეთილგანწყობილი ქმედება შეიძლება გახდეს ფინანსურად სასურველი. ეს უნდა იყოს მსოფლიოს ერთიანი მიზანი და დაცული უნდა იყოს კონსტიტუციებითა და სასამართლოებით.

როგორც ჩანს, აუცილებელია, რომ კლიმატის ცვლილებისგან დაცვასთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობდეს არა მხოლოდ ეროვნულ დონეზე, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, არამედ იმ (განვითარებულ) ქვეყნებს შორის, რომლებმაც გამოიწვიეს გარემოსთვის ზიანის მიყენება ან იწვევენ მას და იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც დაზარალდნენ გარემოზე მიყენებული ზიანის შედეგად. ეს გამოიწვევს გარკვეულ პასუხისმგებლობას კლიმატისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება გარკვეული ზეწოლა მოახდინოს სამთავრობო სტრუქტურებზე, მიიღონ კლიმატის მიმართ კეთილგონივრული გადაწყვეტილებები. სირთულე მდგომარეობს კლიმატისთვის მიყენებულ ზიანზე ყოვლის-

29. *Sands/Peel/Fabra/MacKenzie,* (2018), p. 217ss.; *Schmidt/Kahl*, (2006), p. 15ss.
30. რიოს დეკლარაცია (18), პრინციპი 16. იხილეთ, ასევე, *Sands/Peel/Fabra/MacKenzie,* (2018), p. 240ss.; *Schmidt/Kahl,* (2006), p. 10ss, for climate reparations: Tan, (2023).
31. იხილეთ, ლისაბონის ხელშეკრულება, ვებგვერდი: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv%3AOJ.C_.2007.306.01.0001.01.ENG&toc=OJ%3AC%3A2007%3A306%3ATOC.
32. იხილეთ, ინფორმაცია მსოფლიო ბანკის ნახშირბადის კვოტების შესახებ, ვებგვერდი: https://carbonpricingdashboard.worldbank.org/map_data.

მომცველი პასუხისმგებლობის დადგენაში, რათა გარანტირებული იყოს საფუძველი ენერგოუსაფრთხოების ფინანსური უზრუნველყოფის ვალდებულების და კლიმატისთვის მიყენებული ზიანის[33] საკომპენსაციოდ განხორციელებული დეკარბონიზაციის დასაბუთებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Betaah, A./Albrecht, E./Egute, T. (2019). The Human Right to Healthy Environment in Cameroon: An Environmental Constitutionalism Perspective. Journal of Environmental Law and Litigation, 34, pp. 61-96.
2. Durner, W., in Herdegen, M., Masing, J., Poscher, R., Gärditz, K. F., Burkart, N., & Bäcker, M. (2021). Handbuch des Verfassungsrechts : Darstellung in transnationaler Perspektive. C.H. Beck.
3. Heselhaus, in Rehbinder, E., Schink, A. (2018). Grundzüge des Umweltrechts, Erich Schmidt Verlag.
4. Kirby, M. (2019). Environmental and Planning Law in the Age of Human Rights and Climate Change. 36 Environmental and Planning Law Journal, p.181-196.
5. Leisner W., in Sodan, H., Leisner, W. G., Schenke, R. P., Schmahl, S., & Haratsch, A. (2015). Grundgesetz. C.H. Beck.
6. May, J. R./Daly, E. (2019). Global Judicial Handbook on Environmental Constitutionalism.
7. Schmidt, R./ Kahl, W. (2006). Umweltrecht, 7. Auflage.
8. Sands, P., Peel, J., Fabra, A., & MacKenzie, R. (2018). Principles of International Environmental Law (4th Ped.). Cambridge: Cambridge University Press. doi:10.1017/9781108355728.
9. Tan, K.-C. (2023). Climate reparations: Why the polluter pays principle is neither unfair nor unreasonable. WIREs Climate Change, e827.

33. Tan, (2023).